წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. კვირა სექტემბრის 17—(30) 1917

# ჩვენი ქვეყანა

**გაზეთის ფასი:**
თვიურათ . . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . . 3 შაური.

**განცხადების ფასი:**
პირველ გვერდზე პეტიტის სტრს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 128 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 128

Библиотека

# ჭიათურის მოქალაქენო!

## ქალაქის საბჭოს არჩევნებში

### მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას

# № 4

1. **პაპავა ბარნაბა** ამბაკოს ძე—სამთომადნო ინჟინერი.
2. **გამრეკელი** ალექსანდრე ივანეს ძე—შავი ქვის მრეწველი.
3. **გრიგოლაშვილი** ალექსანდრე პლატონის ძე—ინჟინერი-კომერსანტი.
4. **ფხალაძე** მარკოზა იოსების ძე—ვაჭარი.
5. **აბულაძე** დავით თიმურაზის ძე—შავიქვის მრეწველი.
6. **ბერიძე** ილარიონ დავითის ძე—შავიქვის მრეწველი.
7. **ჩიხელიძე** სიმო დიმიტრისძე—ვაჭარი-ხე-ტყის
8. **აბაშიძე** ჯიბო იოსების ძე—შავიქვის მრეწველი.
9. **ლეჟავა** ანგია პეტრეს ძე—სახლის მეპატრონე.
10. **აბუალაძე** ვასილ ნიკოლიზის ძე—ნოტარიუსი.
11. **გვანცელაძე** ვარლამ სტეფანეს ძე—ვაჭარი.
12. **ბურჯანაძე** ამბერკი ბესარიონის ძე—სასამართლოს ბოქაული.
13. **იაკობაშვილი** ევგენი იოსების ძე—ნატარიუსისა თანაშემწე.
14. **კუჭავა** რაჟდენ კონსტანტინეს ძე—ვაჭარი.
15. **კოხრეიძე** ილარიონ იაკობის ძე—ვაჭარი.
16. **წერეთელი** ნესტორ ზაქარიას ძე—შავიქვის მრეწველი.
17. **ყიფიანი** კოსტანტინე აპოლონის ძე—შავიქვის მრეწველი.
18. **დეკანოზიშვილი** ირაკლი გრიგოლის ძე—ტეხნიკი.
19. **შავგულიძე** ვარლამ ტეხნიკი.
20. **ბარათაშვილი** ივანე მიხეილის ძე—შავიქვის მრეწველი.

# სამტრედიის მოქალაქენო!

**ქალაქის საბჭოს არჩევნებში მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას**

1795

# № 4.

1. **მიქელაძე** ვლადიმერ სიმონის ძე,—პედაგოგი, ყოფილი საბჭოს ხმოსანი ქალ. თფილისისა.
2. **ლორთქიფანიძე** ნიკოლოზ ბიკტორის ძე,—იურისტი, რკინის გზის მოანგარიშეს თანაშემწე.
3. **ქართველიშვილი** იოსებ კიმოთეს ძე,—სამტრედიის საურთიერთო ნდობის ბანკის დირეკტორი.
4. **სტურუა** სტეფანე პეტრეს ძე,—საურთიერთო საზოგადოების ბანკის საბჭოს წევრი, კომერსანტი.
5. **ჭეიშვილი** პორფილე ალექსის ძე,—მრეწველი.
6. **ჟორდანია** ანტონ ირაკლის ძე,—რკ. გზის მოსამსახურე, საბარგო ხაზინადარი.
7. **მებურიშვილი** ლონგინოზ ბესარიონის ძე,—რკინის გზის მოსამსახურე, სათადარიგო აგენტი 1 განყოფილებისა.
8. **ბახტაძე** არეთა ბართლომეს ასული,—მასწავლებელი.
9. **ნაცვლიშვილი** კონსტანტინე მაქსიმეს ძე,—ხელოსანი.
10. **კაკაბაძე** ბესარიონ კიმოთეს ძე,—ვაჭარი.

# სამტრედიის ქალ. საბჭოს არჩევნები.

1917 წ. 17 ენკენისთვეს დანიშნულია ქალ. სამტრედიის ხმოსნების არჩევნები, ქალაქი ერთ საარჩევნო ოლქათ არის აღიარებული. ამრჩევლებისათვის ხმის მიცემის გასაადვილებლათ საარჩევნო ყუთები დაიდგმება 5 ადგილას: 1. ილორის ორკლასიან სასწავლებელში. 2. მაცხოვრის სამრევლო შკოლაში. 3. მელოურში მიხეილ დიმიტრის-ძე ბუჭუას სახში 4. საზოგადო კლუბის დარბაზში. 5. რკინის გზის კლუბში. ამ დანიშნულ ადგილებში ვისაც სად უფრო ეახლოვება ხმას იქ მისცემს.

**სამტ. საქ. საარჩევნო კომიტეტი.**

# ძმ. ურუშაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

---

მშობლები ივანე ანდროს ძე, ნიფიდორე ნიკო, ასული, დები ელენე, თამარი, თინა და შურა, ძმები: კოლია, ანდრუშა ბაბუა ანდრო ივანეს ძე ბიძები იობა, ფილიპე, მარკოზ, მათე და ფარნაოზ ჯანელიძეები შვილებითურთ, ბიცოლები ედუკი, ნატა, ქეთევან და სონა ჯანელიძეებისა, მამიდები მაიკო მანაგაძისა და კესარია ყურაშვილისა, ბიძები ანტონ გრიგოლის ძე მანაგაძე შვილებითურთ, ბიძა დიმიტრი ანდროს ძე თვალაძე შვილებითურთ გაუწყებთ გადაცვალებას 13 ამ თვეს მე-4 კლასის მოწაფისა

## ეკატერინე (კატუშა) ჯანელიძის ასულის

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება 19 ამა თვეს, დილით სამშაბათს ნაშვადღევის 4 საათზე. ქვარიანის შესახვევი, საკუთარი სახლი.

---

დამწუხრებულნი დიმიტრი და იესე (სესიკო) ბრეგაძეები და მეუღლე მათი ელისაბედ და ელენტი, შვილები ლიუბა, ვალერიან (ვალიკო) და კონსტანტინე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 8 ეკენისთვეს უეცრივ ტრაღიკულათ გადაიცვალა პირველების საყვარელი ბიძაშვილი, მეორენის მაზლი და მესამენის საყვარელი ბიძა

## იოსები გიორგის მე ბრეგაძე

პანაშვიდები ყოველ-დღეს საღამოს 6-საათზე (ძველი დროით) უკანასკნელი დღე გამოთხოვებისა დანიშნულია 17-ეკენისთვეს დღით კვირას, ნაშვადღევის 4 საათზე (ძვ. დრ.) მიცვალებულს გაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე საკუთარ სახლიდგან, თბილისის ქუჩა.

---

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თავის სახელოსნოებისათვის მას ესაჭიროება

# მ ე წ ა ღ ე ე ბ ი დ ა მ ე წ უ ღ ე ე ბ ი

პირობების გასაგებათ მიმართეთ სასურსათო კომიტეტში საღამოს 5 საათიდან 7 საათამდი.

---

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ტყავეულობის, დამზადებული ფეხსაცმელების და მიტკლის დარიგების წესები გაზეთებში ცალკე გამოცხადდება.

---

**საღამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების**

მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა

# 8-კლასიანი გიმნაზია

**უფლებით აღჭურვილი.**

ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უეგზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელათ. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს საღამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათამდე.

**მისამართი:** ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი № 3.

---

**საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით,**

ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოის საყოველთაო მოსამზადებელი

# კ უ რ ს ე ბ ი,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.

**მისამართი:** ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან—8 საათამდის საღამოს.

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

---

# დემოკრატიული თათბირი.

ჯერ არავითარი ცნობა არ მოგვსვლია, მაგრამ, ეჭვი არაა, ახლა პეტროგრადში გახსნილია **დემოკრატიული თათბირი.** ამ მწარე განსაცდელის დღეებში თავისთავად იბადება კითხვა: რას უნდა მოველოდეთ ამ თათბირისაგან?

გამოცდილება არ გვაძლევს სასურველ ნიშნებს. იყო მოსკოვის კრება. ამ კრებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგანაც იგი მთავრობის თაოსნობით იყო მოწვეული და შესდგებოდა მთელი ხალხის წარმომადგენელთაგან. ამიტომ ბევრ სიკეთეს მოველოდით მოსკოვის თათბირიდან, მაგრამ რუსეთის სინამდვილემ მოლოდინი არ გაგვიმართლა: შეიყარნენ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი, გამართეს ბაასი, ბევრი ლამაზი სიტყვა წარმოსთქვეს და... დაიშალენ! შედეგი არავითარი!

რა შედეგს უნდა მოველოდეთ დღევანდელ დემოკრატიულ თათბირისაგან? მთავრობის მოწვეული იგი არაა და შესდგება ხალხის მარტო ერთი ნაწილისაგან. სოციალისტური გაზეთი „Власть Народа“ გვარწმუნებს, მთელმა მესამედმა ნაწილმა დემოკრატიულ რუსეთისამ თათბირზე უარი განაცხადაო. მაშასადამე, ამ კრების დადგენილება იქნება არა ყველასათვის სავალდებულო და არსებითად ცალმხრივი. გაზეთი „სახალხო სიტყვა“ სამართლიანად ამბობს: „რას უნდა მოველოდეთ კრებიდან, რომლის შემადგენლობა შემთხვევითია და რომელსაც არავითარი რწმუნება და მონდობილება (полномочіе) არა აქვს და ვერაფერ სავალდებულო დადგენილებას ვერ გამოიტანსო?“

გამოდის, რომ მივლენ სოციალისტები კრებაზე და მხოლოთ სიტყვებს წარმოსთქვამენ. მაგრამ ამ წუთში, როდესაც რუსეთს საქმე უნდა, სიტყვებმა, მარტო სიტყვებმა თავი მოგვაბეზრა. ბ-ნი პლეხანოვი გულახდილათ ამბობს: „Разсужденія, обсужденія и рѣчи даже лучшихъ нашихъ ораторовъ, попросту говоря, осточертѣли“-ო.

მაშ, რით უნდა ავხსნათ დემოკრატიული კრების მოწვევა, თუ ამას არაფერი მნიშვნელობა არ ექნება?

იმავე ბ-ნ პლეხანოვის სიტყვებიდან გამოდის, რომ ჩვენ სოციალისტებს კრებების დიდი სიყვარული აქვთ. ის ამბობს: „ჩვენმა სოციალისტურმა კრებებმა ევროპის სოციალისტები განცვიფრებაში იმით მოიყვანაო, რომ ეს კრებები გრძელია, ყოველთვის დაუსრულებელიო. ისინი ხშირად მეკითხებოდენ: საიდან შოულობთ თქვენ, რუსეთის სოციალისტები, ამდენ დროს და საშვალებას, რომ კრებებს რამოდენიმე კვირაობით აგრძელებთო“?

მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ აქ მარტო კრებების და ლაპარაკის სიყვარული იყოს. უთუოთ საქმეც იქნება! მხოლოდ რა საქმე და ვისთვის? როგორც ზევით ვთქვით, თათბირს არ ექნება სავალდებულო მნიშვნელობა მთელი რუსეთისათვის, მაგრამ იმათთვის, ვინც მოიწვია, იგი შეიქნება თითქმის საკანონმდებლო დაწესებულებათ. გავიხსენოთ, რომ კრება მოიწვია მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭომ. უფრო დაახლოვებით რომ ვთქვათ, იგი მოიწვიეს „ბოლშევიკებმა“ და „ინტერნაციონალებმა“. რაღა თქმა უნდა, ესენი რაიმე გადაწყვეტილებას გამოიტანენ და ეს გადაწყვეტილება, ეჭვი არაა, სარჩულად დაედება მათ მომავალ სახელმწიფოებრივ მოქმედებას.

თუ გვინდა რამდენადმე გავითვალისწინოთ, თუ რა შინაარსის იქნება კრების დადგენილება, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ „ბოლშევიკებისა“ და „ინტერ-ნაციონალების“ აზრით უკუგდებულ უნდა იქნას მმართველობის კოალიციური პრინციპი და სახელმწიფოს მმართველ-გამგეობა სავსებით პროლეტარიატის და ღატაკ გლეხობის ხელში გადავიდეს. მაქსიმე გორკის გაზეთი „თავისუფ. ცხო-

ვრება'', რომელიც ამ შემთხვევაში უფრო გაბედული და გამორკვეულია, პირდაპირ აცხადებს, რომ კოალიცია არ განხორციელდება და დემოკრატიული თათბირი მუდმივ დაწესებულებათ გახდება, სანამდი დამფუძნებელი კრება არ იქნება მოწვეული. ეს იმ ს ნიშნავს, რომ დემოკრატიული თათბირი რაღაც ერთნაირი კანონმდებელი დაწესებულება, კანონმდებელი საბჭო იქნება, რომლის დადგენილებებს ,,ბოლშევიკების'' მმართველობა ყოველთვის სისრულეში მოიყვანს.

აქედან, მგონია, ის უტყუარი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ,,ბოლშევიკები'' და ,,ინტერნაციონალები'' ამ თათბირზე განამტკიცებენ, დააკანონებენ — თუ აქ შეიძლება სიტყვა ,,კანონი'' ვიხმაროთ — იმ პოლიტიკურ მიმართულებას, იმ პოლიტიკურ გზას, რომელიც უკვე გამოირკვა იმათ პრესაში და მოქმედებაში.

**დ. გურული.**

## სოფელში მუშაობა.

ახლო წარსულში ჩვენი სოფლის განვითარება არა ბუნებრივი გზით სწარმოებდა. მე-19 საუკუნიდან მშრომელ ხალხში ეროვნული მაჯის ცემა შეჩერდა.

ქართველი მოწინავე თაობა გზა-აბნეული იყო და უიმედობას მისცემოდა. იგი ხალხს ვერ აწოდებდა ვერც სულიერ საზრდოს და ვერ აღვიძებდა ეროვნულ შემეცნებას.

1801 წლიდან პატრონი, მზრუნველი არა ჰყავდა საქართველოს. ამ გარემოებამ შექმნა ხალხში სიმახინჯე

ბედის ანაბარათ მიტოვებული სოფელი ადვილათ ითვისებდა ყოველ გვარ გადაგვარების „მოდას". მეფის მთავრობამაც დრო იხელთა და გამარუსებელ პოლიტიკის წარმოებას შეუდგა. სოფლის, მაზრის, გუბერნიის სამმართველოებიდან გამოიდევნა ხალხის დედა ენა. ვინაც რუსული არ იცოდა, მას ყველგან გზა ჰქონდა დაკეტილი.

უქომაგოთ დარჩენილმა სამშობლო კულტურამ ხალხში ფასი-გავლენა დაჰკარგა. სოფლის ხალხი რუსულის სწავლაში სჭვრეტდა ძნელ ცხოვრების გაადვილების საშუალებას.

მოხუცი მამა შვილს უქადაგებდა: „შვილო, თუ გინდა კეთილი ცხოვრება, რუსული ისწავლე. ქართული ლარსად გამოდგებაო". ეს ყველაფერი უწყოდა ქართველმა ინტელიგენციამ, მაგრამ იგი უმოქმედო და უძლური იყო. შედეგად ამ სამარცხვინო ყოფას ის მოყვა, რომ დღეს საქართველოში სანთლით ვერ იპოვით ისეთ კაცს, რომელიც თავისი ჭკუით, სინამდვილის სწორი შეგნებით სცხოვრობდეს. **ყველაფერი სხვისი არაფერი ჩვენი** დღეს ისეთ მდგომარეობაში ჩავცვინდით, რომ ეროვნული სახეობა თითქმის დავჰკარგე.

ვერც ერთ საქმეს ვერ ვიწყებთ ისე, რომ იგი მტკიცედ ჩვენი ცხოვრების საფუძველს დავაყრდნოთ.

ყველაზე სამწუხარო ამ ჟამათ სოფლის მდგომარეობაა. ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა სოფლათ სცხოვრობს. დღეს ვადგვებით იმ გზას, რომ ჩვენი შინაური თვითმყოფელობა აღვადგინოთ, ჩამქრალი ეროვნული კერა გავაჩაღოთ. ამ მიზნის მისაღწევათ, მარტო იურიდიული აქტი არა კმარა. საჭიროა ხალხი განეწყოს საკუთარ ეროვნულ ცხოვრებისთვის, ხალხში მომზადდეს საფუძვლები ეროვნულ მართვა-გამგეობისთვის. ეს გვავალებს ჩვენ ახლავე შევუდგეთ სოფელში **ეროვნულ გამათვითცნობიერებელ მუშაობას,** რომ ხალხს თავის თავი შევაგნებინოთ.

პარტიული დავა სოფელში ხალხს პოლიტიკურ ცოდნას ვერ შესძენს, პირიქით, ბევრს ავნებს. სოფელი უნდა ვაწარმოოთ საერთო შეთანხმებული მოქმედება. ცხადია, მარტო თეორეტიულ მუშაობით ვერ დავაკმაყოფილებთ სოფლის ხალხს. სოფელში ჩასულებმა უნდა გაიგონ სოფლის ხალხის სხვა საჭიროებანი და უხელმძღვანელონ მას ამათუ იმ საქმის გაკეთებაში. ქალაქის შეგნებულმა ელემენტმა ქართული ლიტერატურა უნდა მიაწოდოს სოფელს. ჟურნალ-გაზეთები და წიგნები მშრომელ ხალხს მეტათ საჭიროება. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს პირველ დაწყებითი სწავლის საქმეს. უნდა გამრავლდეს სოფლის სკოლები, ემგრამ სკოლები უნდა იქნეს ნამდვილი ეროვნული, სამშობლო ენაზე სწავლებით. სოფლის სამმართველოებში არსებითად უნდა განმტკიცდეს ქართულ ენაზე საქმეების წარმოება. ხალხს უნდა შევაგნებინოთ, თუ რას ნიშნავს ეროვნული მმართველობა. ამას ადვილათ მოვახერხებთ, თუ ხალხს რეალ საქმეს დავანახვებთ. სოფელში უნდა დაიხსნას სამკითხველოები, უნდა აილაგმოს სოფლის მაწვალებელი ჩარჩ-ვაჭრები, მივეშველოთ ხალხს სამეურნეო საჭიროებაში.

სოფელში გვჭირია ძლიერი, დიდი მუშაობა.

**რეს.**

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**მთავრობის სხდომა.**

**პეტროგრადი.** ენკენ. 12. ღამით საზამთრო სასახლეში კერენსკის თავმჯდომარეობით დროებით მთავრობის სხდომა იყო. დაესწრნენ: ტერეშჩენკო, ნიკიტინი, ვერხოვსკი ვერდერევსკი და აგრეთვე ფინლიანდიის ახალი გენერალ-გუბერნატორი ნეკრასოვი. კერენსკიმ ფრონტის მდგომარეობა გააცნო სხდომას და აღნიშნა, რომ საშიში არ არის რა. შემდეგ გენერალ კორნილოვის შესახებ საქმეთა მსვლელობაზე ილაპარაკა. გადასწყვიტეს გამოაქვეყნონ ოფიციალი ცნობა მის შესახებ. მოისმინეს ნეკრასოვის მოხსენება ფინლიანდიის სეიმის თავის ნებით მოწვევაზე. ამის შესახებ დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა ისევ ძველ თვალსაზრისს დაადგეს. დასასრულ შეეხნენ მთავრობის შედგენასაც. არავითარ გარდაწყვეტილება არ გამოუტანიათ.

**ახალი სამხედრო მინისტრის პროგრამა**

**პეტროგრადი.** ენკენ. 13. მოხდა პეტროგრადის გარნიზონის ოფიცერთა ყრილობა, რომელიც სამხედრო მინისტრის მიერ იყო მოწვეული. სამხედრო მინისტრმა ვერხოვსკიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ რევოლუციის პირველ დღეებშივე იჩინა თავი უთანხმოებამ ოფიცრებს და ჯარისკაცებს შორის. მაგრამ ეს მხოლოდ გაუგებრობის ბრალია, ვინაიდან ვინც ამტკიცებდა, რომ ოფიცრობა ამხედრებულია დემოკრატიულ იდეალების წინააღმდეგ, მას ავიწყდებოდა, რომ ოფიცრებიდან გამოვიდენ პესტელი, მურავიოვი და კროპოტკინი. ეხლა ჩვენ გვაქვს ორი ძალა: ჯარის ხელმძღვანელთა შემადგენლობა და ჯარის კაცთა ორგანიზაციები. მხოლოდ ამ ორი ძალის შეერთება მოგვცემს ჯანსაღ არმიას. ოფიცრობამ დანაშაული ჩაიდინა, რომ ბრძოლა გამოუცხადა ჯარისკაცთა კომიტეტებს. კორნილოვის გამოსვლამ სულ ერთიანად დაუკარგა ნდობა ოფიცრობას ჯარისკაცებში. თუმც კი ერთად-ერთი გზა ხსნის არის შერიგება ოფიცრების და ჯარის კაცების. ოფიცრობა არ არის კონტრ-რევოლუციური. მას მხოლოდ სწადია რომ არმია ჯან-საღი იყოს. ამიტომ პირველი პუნქტი ჩემი პროგრამის არის შერიგება ჯარის კაცთა კომიტეტების და ოფიცრების. უძლური ჯარისკაცები უნდა დათხოვნილ იქნენ, რათა სოფელში მუშაობა გასწიონ.

**პეტროგრადის დაცლა.**

**პეტროგრადი.** ენკენ. 13. პეტროგრადის დაცლის შესახებ საგანგებო თათბირი გაიმართა. შემუშავებულია დაწვრილებითი გეგმა, თუ როგორ და რა წესით უნდა მოხდეს პეტროგრადის დაცლა. უწინარეს ყოვლისა გაისტუმრებენ გამოქცეულთ, შემდეგ მათ, ვისაც განსაზღვრული პროფესია არა აქვთ, ბოლოს ლაზარეთებს, საავადმყოფოებს და საქველმოქმედო დაწესებულებათ.

**გლეხთა დეპუტატების ყრილობა.**

**სარატოვი,** ენკენისთვის 12. გაიხსნა საგუბერნიო გლეხთა საბჭოების დეპუტატთა ყრილობა. დაესწრო 500 მეტი დეპუტატი. მიიღეს ს.-რევოლუციონერთა პროგრამა მიწის საკითხში.

**შეთქმულ გენერლების საქმე.**

**ბანაკი.** ენკენისთვის 11. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ორგანიზაციებმა კიევის დეპუტატთა საბჭოს თაოსნობით უარი განაცხადეს შეპყრობილ გენერლების: დენიკინის, მარკოვის და ელსნერის გამომძიებელ კომისიისადმი გადაცემაზე. თანხმდებიან მხოლოდ სამხედრო სარევოლუციო სამართალში მიცემაზე სამხედრო-სარევოლუციო სამართალი ხსენებულ გენერლებზე ერთ კვირის შემდეგ დაინიშნება.

**კორნილოვის ბათალიონი.**

**მოქმედი ჯარი.** ენკენისთვის 12. კორნილოვის ბათალიონი სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს.

**კალედინის გასამართლების შესახებ.**

**ნოვო-ჩერკასკი.** ენკენისთვის 12. სამხედრო წრემ დაადგინა, რომ კალედინმა ჩვენება გამომძიებელ მთავრობას ნოვო-ჩერკასკში მისცეს და არა მოგილიოვში.

**ყაზახთა სექციის კრება**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 13. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყაზახთა სექციაში მოხსენება გააკეთა სინაევმა თავის გამგზავრებაზე ნოვოჩერკასკში და სამხედრო წრეში. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომ ყაზახობა ცდილობს ფედერატიულ ერთეულებად მოწყობას და ნათქვამია, რომ ამ მძიმე მომენტში ყველამ ძრ. მთავრობის გარშემო უნდა შემოიკრიფოს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ეხლა დრო არ არის ფედერატიულ ერთეულების მოწყობის. ვინაიდან ეს სახელმწიფოს ასუსტებს. ყაზახობის ფედერატიულად მოწყობა ცხოვრებაში ვერ გატარდება მანამ, სანამ მთელი ყაზახობის აზრი არ იქნება გამოტანილი.

## ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ყუბანის ყაზახობა ფედერაციის მომხრეა.**

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 11. ყუბანის ყაზახობის წარმომადგენელმა მაკარენკომ ყაზახთა სამხედრო წრეს მოხსენება წაუკითხა ყაზახთა ოლქების ფედერატიულად მოწყობის შესახებ. განზრახულია ახალი პატარა სამხედრო წრის დაარსება, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში დიდ სამხედრო წრეს შესცვლის.

**ფინლიანდიის ს.-დემოკრატიის მოწოდება**

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 12. ფინლიანდიის ს.-დემოკ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიჰმართა რუსეთის სოციალისტურ პარტიებს ენკენისთვის 15-ში სეიმის მუშაობის განახლების გამო. კომიტეტი მიესალმება დემოკრატიას, რომელმაც სძლია ბურჟუაზიის განზრახვას ძალადობით უფლების ხელში ჩაგდებას, შემდეგ გამოსთქვამს სურვილს, რომ რუსეთის მთავრობისა და სეიმის შუა მომხდარ კონფლიქტის საკითხი სასურველად ყოფილიყოს გადაჭრილი. მაგრამ თუ რუსეთის თანხმობა დამოკიდებული იქნება სეიმის მიერ იმ კანონის უარის ყოფით, რომლითაც გამოცხადებულია ფინლიანდიის თავისუფლება, მაშინ ფინლიანდია ძველს გარდაწყვეტილებას დაადგება და არავითარს ახალს პირობებს არ მიიღებს.

**გვარდიების შედგენა ფინლიანდიაში**

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 13. იარაღის მოთხოვნილება ფინეთში იმით აიხსნება, რომ ამ ჟამად მთელ ფინეთში ბურჟუაზიული და წითელი გვარდიები არსდებიან. გვარდიების დანიშნულება ოფიციალად წესრიგის დაცვა, ნამდვილად კი მათი მიზანი სულ სხვაა. ბურჟუაზიულ გვარდიას სწადია დაიცვას ინტერესები შეძლე ელემენტებისა, წითელი გვარდია კი მშრომელ კლასის ორგანიზაციებს იცავს. გაზეთი ,,მუშათა ახალგაზრდობა'' ამტკიცებს რომ წითელი გვარდიის დაარსება გამოწვეულია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით და ყოველ შემთხვევისათვის სამხედრო ძალა აუცილებელი ხდება.

**ეროვნებათა ყრილობა კიევში.**

**კიევი.** ენკენისთვის 12. **გრუშევსკი** მიესალმება დროებით მთავრობას, რომელმაც ამ კრებას თავისი წარმომადგენელი გამოუგზავნა. უეჭველია ამას მო-

## საკვირაო საუბარი.

**აქეთური, იქითური;**

**კარგზე მეტი უკეთური.**

**წრევანდელი სოციალიზმი.**

არაოდეს ჩემს მკითხველთან სოციალიზმზე საუბარი არა მქონია და, დღეს თუ ვბედავ ასეთ მძიმე საგანზე ლაპარაკს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი მხრიდან და ყოველი კაცისაგან სოციალიზმის შესახებ მოგვესმის ბჭობა და ბაასი, ყველა თავისებურათ ახასიათებს ამ მოძღვრებას, ყველა დიდი იმედებით და აღფრთოვანებით ეგებება მას და ხსნას, ბედნიერებას და მაცხოვარებას მისგან მოელის; ყველას უნდა ეს მოძღვრება თავისებურათ, თვისი მისწრაფებისა და მიდრეკილების სასარგებლოდ გამოიყენოს: ავიც მისაგან მოელის მანანას და კაიც.

რუსეთში ხომ ბრწყინვალე მზე ამოუვიდა წრეულს ამ ვითომდა გამაბედნიერებელს მოძღვრებას. და, მგონი შეცდომა არ იქნება, რომ ხმა მაღლა დავიძახოთ: „ყოველი მოძღვრებავ და რეფორმა, ჩამოდექით: სოციალიზმი მობრძანდება".

„მობრძანდება" კი არა, მობრძანდა კიდეც და ისეთი რიხითაც მობრძანდა, რომ ვინც იმას გულწრფელად არ აღიარებს, ვაი მას: ზოგიერთი შეუგნებელი მოძღვარნი სოციალიზმისა ასეთ თავხედ მცირე მორწმუნე მოქალაქეს კონტრ რევოლუციონერადაც გამოაცხადებენ და მაშინ წავიდეს და კაკალი უყაროს: რამე ნაირად რომ არ დაისაჯოს, ყოვლად შეუძლებელია.

თუ არავის ეწყინება, მოგახსენებთ, რომ ჯერჯერობით ვერავინ ვერ მოახერხა სოციალიზმის სავსებით და კმაყოფილად განსაზღვრა; განსაზღვრა კი არა, ზოგიერთი სოციალისტი მწერალი სასოწარკვეთილებაში ჩაავდო ამ მოძღვრების განმარტებამ, და უნებლიეთ წამოცდებათ ხოლმე: სოციალიზმის უარყოფა და გაწბილება უმჯობესი და უადვილესია იმის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაზეო.

ასეა თუ ისე — დღევანდელ საუბარში ოდნავ მაინც მივუთითებ მდაბიო მკითხველს სოციალიზმის მთავარ დარგებს და მისს მმოსავ-მორწმუნეებზე.

სოციალიზმი სამ დიდ ტოტად იშლება.

ერთი ტოტის აღმსარებელი სოციალისტები იმედოვნებენ, რომ სახელმწიფოს დაუხმარებლადაც შესაძლებელია მისი განხორციელება და მისი ნაყოფით გაბედნიერება. მხოლოდ ამისათვის საჭიროა მორალური განვითარება, ზნეობითი აღგზნება და ეს აღგზნება და განვითარება ყოველთვის და უმთავრესად შედეგია კეთილი მაგალითისა და წრფელი ზნეობრივი ქადაგებისა. ეს ტოტი ემყარება სანახევროდ სარწმუნოებრივს, მისტიურს ნიადაგს.

ახლა ეს თეორია მოდა წასულ თეორიად ითვლება, მაგრამ, თუ რამე გაკეთებულა ჭეშმარიტი სოციალური ამ მოძღვრებისაგან, სწორეთ ამ ჯურის სოციალისტებს ბევრი რამ სოციალისტური გაუკეთებიათ თვისი ქადაგებით და ღირს წასაბაძი მაგალითებით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ახლანდელ სოციალისტებისაგან ამისთანა სამაგალითო საქმეს არავინ თხოულობს. ახლანდელი შეხედულობით სოციალისტი შეიძლება იყოს დიდი კაპიტალისტი, დიდი ფეოდალი, დიდი მესაკუთრე, დიდი დალალი და, უკაცრავად ამ სიტყვისათვის, წვრილი ჩარჩიც.

წრევანდელმა სოციალიზმმა მაინც ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ყველას შეუძლია თავი სოციალისტებს შორის წამოყოს, თუ სოციალისტთა ჯგუფის ლიდერთან სარეგისტრაციო სიაში თავი ჩააწერინა და ჯგუფის სასარგებლოდ შეწირულება რამ შეიტანა.

ამის მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ: ქუთათურ სოციალისტებზე რომ მივუთითოთ, ისიც საკმარისია.

ჩვენებურ სოციალისტებში თქვენ შეხვდებით ისეთ ვაჭარს, რომელიც, რომ შესაძლებელი იყოს, რწყილსაც კი გაატყავებს და მისს ტყავს პირველი შვილის ფასად გაყიდის, ნემსში მახათის გამოყვანას ლამობს და სამასსა და ოთხასს პროცენტს არა სჯერდება იმ ჩითსა, ნარმასა და საპონ-მარილში, რომელიც ღატაკმა სოფლელმა, საბრალო, პედაგოგმა და ჩინოვნიკმა აუცილებლად მისგან უნდა იყიდოს,

აქაურ სოციალისტებში თქვენ შეხვდებით მთელ ჯგუფს, რომელიც ნაბუქუდანოსორის მეფობის შემდეგ ალაბისა და ვახშის მონაგარითა სცხოვრობს, კეთილდღეობს და საკუჭნაოშიც ბლომათ საგანძურს ინახავს.

ბოდიშს ვიხდი ამ შენიშვნისათვის და ახლა სოციალიზმის მეორე ტოტზე მოგახსენებთ:

ამ ტოტის სოციალისტებს სოციალეკონომიური კითხვების გადაწყვეტა ძალდატანებით უნდათ ხელმწიფება-უფლების ხელში ჩაგდებით, გინა სრულიად მისი გაუქმებით. ამ ტოტის წარმომადგენლები და მისთვის მებრძოლნი სოციალ-რევოლუციონერები გახლავან, მათ მხარს უშვენებენ ანარქისტები, რომელნიც მტრები არიან ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა: მათ სწამთ, თითქო ადამიანი ზნეობის იმ სიმაღლემდი მიაწევს, რომ მისთვის სრულიად საჭირო არ იქნება არც მსაჯული, არც ადმინისტრატორი, არც მხედარი და არც საამისო ბიუჯეტი და ბეგარა. აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ უკეთესი ქვეყანაზე არც არაფერი უნდა იყოს, თუ კი ეს შესაძლებელი იქნება.

მესამე ტოტის მოძღვარნი ფიქრობენ თვისი პროგრამის განხორციელებას სახელმწიფოს საშუალებით, მშვიდობიანი თანდათანობითი კანონმდებლობითი რეფორმების შემოღებით და მოხმარებით.

თუ არ ვცდები, დიდი ხანია, რაც ევროპაში ყველა ეს ტოტები ისტორიულად აღმოცენდა, გაიშალა მრავალშტოებათ, რომელთაგან ზოგიერთებმა უკიდურესობამდი მიაწია, გაქვნა და უტოპიებად ძირს დაცვინდა, ზოგი ახლაც ჰკნება, მაგრამ ევროპიელები ამაზე ბევრად არ სწუხან.

მაგრამ რუსეთში და ჩვენში ეგ სოციალიზმის ხე წრეულს ისე გაიშალა, იმდენი ტოტი და შტო გამოისხა, ისე სქლად შეიფოთლა, რომ მთელი ვეებერთელა რუსეთის სახელმწიფო თითქო ამ ბედნიერების ხის ჩრდილმა დაფარა და ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმე, არა მაშვრალი და ცოდვის ტვირთის მზიდველი ამ ხის ჩრდილში ფიქრობს თავის შეფარებას, აქ უნდა თავი მიიდრიკოს, თავისუფლად ამოისუნთქოს.

ახლა კი დავანებოთ სიტყვა რუსული პრესის წარმომადგენელს და ვნახოთ, რას გვეტყვის ახლანდელი სოციალ პოლიტიკური მოძრაობის შესახებ:

საშინელ რამეებს გვეუბნება, „ჟურნალ-ჟურნალოვი" (Журнал-журналовъ):

„როცა დაფიქრდები და დაუკვირდები ყოველივე მას, რაც რუსეთის ყოველკუთხეში ხდება, თვალწინ შიშით შეპყრობილი ბრბო წარმოგიდგება.

ახლა, ამ უხიაგ დროს, ამბობს ჟურნალი, ას-სამოცდა ათი მილიონი ადამიანი, რუსეთის იმპერიის მცხოვრები, შეშინებულა, ბრძოლით შეპყრობილა, გაშიშვლებულა, აკანკალებულა და თავი დაუვიწყებია. ჩვენ ყველას გვეშინია გერმანელთა შემოსევის, სეპარატიული ზავის, დემობილიზაციის, ჯარების დათხოვნის, გვეშინია ბოლშევიკების, კადეტების, გვეშინია ფინეთის და უკრაინის, გვეშინია კონტრ-რევოლუციის და თვით რევოლუციის. გვეშინია ჩვენივე ლანდის.

რა ნაირია ეს შიში?

ეს შიში-შიშია ერთმანერთისა, ეს შიში და ბრძოლა — საურთიერთო ძრწოლა და შიშია. ფინეთისა და უკრაინის თუ გვეშინია — ჩვენზე ნაკლებ მათ ჩვენი არ ეშინიათ, ბურჟუებს თუ მუშების ეშინიათ, მუშებს ნაკლები შიში არა აქვთ ბურჟუებისა; ანარქისტებს მილიციონერების ეშინია, მილიციონერებს ანარქისტების.

ამ სხვა და სხვა ფერის და სახის საშიშროებათა შორის, რომელთაც გარე მოუცავს ჩვენი აწმყო, ყველაზე უფრო დამღუპველი და სახიფათო აზროვნების შიშია.

ტრაგიკულია შიში სალდათებისა, მილიციონერებისა, მინისტრებისა, მაგრამ ასჯერ უარესია შიში მოაზროვნე მოქალაქეთა. ჰოი საკვირველებავ! სად მოაზროვნე მოქალაქეთა შიში.

რამოდენიმე დღის წინეთ, ვიდრე თებერვლის მოძრაობა დაიწყებოდა, უეცრად თვალის დახამხამებაზე ყველა, ყველა, უკლისად გარესპუბლიკანდა.

და იცით, როგორ მოხდა ეს? საიდან მოევლინა ამ ჩვენს საწყალსა და უბედურ ქვეყანას ასეთი ტრაგი-კომიკურად მოზღვავებული სოციალისტთა სიმრავლე?

რანაირად მოხდა, რომ ყველა ერთბაშად, ერთ წუთს სოციალისტად იქცა?

თავგადატელეპილი ბუჰალტერი, ივანე ივანეს ძე, ბუასილით დანართული ჩინოვნიკი პეტრე პეტრეს ძე, თექვსმეტი წლის პირტიტველა ჭაბუკი, კლუბის მიტინგზე გამოჭიმულა თითქო დიდი მჭერმეტყველი იყოს.

ყველა ესენი თითქო სოციალიზმის მმოსავნი გამხდარან და რაღა საკვირველია, რომ უბადრუკს უანბანო მუჟიკსაც სოციალისტებში ამოუყვია თავი და მას მხარს უშვენებს ბუსკანტით ხელში ქალაქის ხელოსანი, რომელსაც შეუგნებელი სალდათი გვერდში ამოდგომია.

ძველი რეჟიმისსობას ადვილი გასაგები იყო ბავშური „მემარცხენეობა". რაც უფრო მეტი მემარცხენეობა შეეწამებოდა ვისმე, მით უფრო დიდი პროგრესისტის სახელს დაიმსახურებდა.

ჰყვება რეალი ზომები ერთა განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან რუსეთის სახელმწიფო მხოლოდ ამიერიდან დაიხწევს თავს რომ ხალხთა საპყრობილე გარდაიქმნება ხალხთა უზენაეს სასახლეთ. სლავინსკიმ დროებით მთავრობის სახელით განაცხადა: „მინისტრთა თავმჯდომარემ აქ წამოსვლის დროს მითხრა, ყრილობას ჩემის სახელით გადაეცით რომ თავისუფალი რუსეთი მხოლოდ დეცენტრალისტური იქნებაო. ყოველისფერი ის, რაც გრუშევსკიმ სთქვა, როგორც უკრაინის საკეთილდღეოდ ერთმა საუკეთესო მებრძოლმა, ჩვენის სურვილების გამოხატულებაა. რუსეთის ერები რომ არ ფიქრობდნენ, რომ ეს საათია სახელმწიფოს მომაკვდინებელი საშიშრებისა, არც აქ შეიკრიბებოდნენ. მარსის მინდორზე საძმო საფლავები ამასვე ამბობენ, რუსეთის ყველა ერთა შვილების ძვლები, მათი სისხლი პეტროგრადის ქუჩებზე დანთხეული უკვე ნათლად ჰლაღადებს, რომ თავისუფლება ნასყიდია! არც ერთს ხალხს არა აქვს უფლება სთქვას, რომ ვინმემ ვისმეს რაიმე მისცა. აი ეს დებულება საფუძვლად უნდა დაედოს განახლებულ რუსეთის მომავალ მართვა-გამგეობას. როგორც ის, რომ უკვე დამარხულ ცენტრალიზმის გახრწნილი სული იბნევა და იკარგება, ისე უნდა გაჰქრეს ყოველ ერში უნდობლობა ახალ მთავრობისადმი, ეს ის უნდობლობა, რომელიც წარმოშობილია შავბნელი წარსული ხანისგანაო. სლავინსკი ბოლოს აღნიშნავს: მთავრობა თავისთავად არაფერია, მაგრამ ერები უმთავრობოდ მხოლოდ ბრბოს წარმოადგენენო.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ჯარისკაცების განთავისუფლება**

**გომელი.** ენკენისთვის 13. გაანთავისუფლეს 157 ჯარისკაცი, რომელთაც ჰბრალდებოდათ კამანდირ პურგასოვის მოკვლა.

**აფიცერთა კავშირის გაუქმება.**

**მომქმედი არმია.** ენკენისთვის 12. ფრონტზე არსებული აფიცერთა კავშირები დაიხურა, რეზოლუციებით მოითხოვენ მთავარი კომიტეტი სასამართლოს გარდაეცეს პროვოკატორობისთვისაო. მომქმედი ჯარის აფიცრობა გულისწყრომას აცხადებს, მოგვატყუეს და პროვოკატორულს საშუალებით კონტრ-რევოლუციურ მიზნებისათვის გვამხედრებდნენო. ოფიცრებს მოუწოდებენ ჯართაორგანიზაციებს დაუახლოვდითო.

**დანელების გემის დაღუპვა.**

**კოპენჰაგენი.** ენკენისთვის 12. ჩასძირეს დანელთა გემი „რადას“-ი. დაიღუპა 1, დაშავდა 2.

**არგენტინის განხეთქილება გერმანეთთან.**

**პარიზი.** ენკენისთვის 13. ბუენოს აიერისიდან იუწყებიან, რომ პალატამ უმრავლესობით 53 ხმით—18 წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია გერმანეთთან დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტაზე.

**იაპონია და ამერიკის შეთანხმება.**

**ტოკიო.** ენკენისთვის 12. გაზეთები იუწყებიან, რომ მოხდა ახალი შეთანხმება იაპონიის და ამერიკის შუა, გერმანეთის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ.

**ვილჰელმი ფრონტზე.**

**მომქმედი ლაშქარი.** ენკენისთვის 12. რუმინეთიდან ცნობაა, იმპერატორ ვილჰელმმა ბუქარესტი ინახულა. ეხლა ფრონტზეა.

**ამერიკის და იაპონიის კავშირი.**

**ნიუ-იორკი.** ენკენისთვის 12, შეერთებული შტატები და იაპონია სრულიად შეთანხმდენ გერმანეთის წინააღმდეგ ერთად საომრად.

**ამერიკელი კაპიტალისტები ომის გაგრძელებაზე.**

**ნიუ-იორკი.** ენკენისთვის 10 ამერიკის ვაჭართა ყოველწლიურ კრებაზე, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი კომერსანტი და მრეწველი ესწრება, დადგენილ იქმნა განაგრძონ ომი და მთავრობას ყოველისფერში დაუჭირონ მხარი, ვიდრე მთლად არ შემუსრავენ პრუსაკებსაო.

**იერიში ლონდონზე.**

**ლონდონი.** ენკენისთვის 12. გერმანელების ჰაეროპლანები თავს დაესხნენ ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებს —კერძოდ კენტსა და ესექსს. რამდენიმე ჰაეროპლანმა ლონდონზედაც მიიტანა იერიში. მოკლულია 6, დაჭრილია 26.

# უკანასკნელი დეპეშები.

ფინეთის გენერალ-გუბერნატორის ნეკრასოვის ბრძანებით დაბეჭდეს ფინეთის სეიმის კარები, სადაც დათხოვილ სეიმის წევრები კრების მოწვევას აპირებდენ.

— როგორც ვენიდან იტყობინებიან, რუსეთსა და ავსტრიის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს გაუცვლის ზოგიერთ კატეგორიის ტყვედ დარჩენილებს.

— კუნძულ ეზელთან ბალტიის ზღვაში მტრის წყალქვეშა ნავის მიერ ჩადებული ნაღმი აფეთქდა და ერთი გემი ჩაძირა. მატროსთაგან 4 კაცი დაჭრილია, წყლიდან ამოიყვანეს 13. ოფიცრებმა არ ისურვეს გემის დატოვება; ყველა დაიღუპა.

— პეტროგრადში ენკენისთვის 14-ს დემოკრატიულ თათბირის თავმჯდომარის ჩხეიძის წინადადებით კრებამ დაადგინა, მოუსმინოს პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს. ესერების სახელით გამოვიდა ჩერნოვი, ბოლშევიკების მხრით ილაპარაკა კამენევმა, მენშევიკთა უმცირესობის სახელით გამოვიდა ბოგდანოვი, ხოლო მენშევიკთა უმრავლესობის სახელით წერეთელი.

— რევოლუციურ დემოკრატიის ხელმძღვანელნი უარყოფით შეხვდნენ წინასწარ პარლამენტის შედგენას.

— დემოკრატიულ თათბირზე მთავრობის სახელით კერენსკი და ვერხოვსკი წარსდგებიან.

— დირექტორიამ ფინლიანდიიდან ჩამოსულ ლენინის დაჭერა დაადგინა.

— დემოკრატიულ თათბირისათვის 800 დელეგატი ჩამოვიდა. უმრავლესობა ესერები შეადგენენ. ნახევარი სოციალ-დემოკრატები—ბოლშევიკები არიან.

— კერენსკიმ პეტროგრადში გაიწვია კონოვალოვი, ბურიშკინი, მალიანტოვიჩი, ტრეტიაკოვი, ჩეტვერიკოვი და სმირნოვი. ხმებია, რომ დირექტორიამ უკანასკნელად გადასწყვიტა კოალიციურ მთავრობის შედგენაო.

— ბოლშევიკები ფინლიანდიელ სეპარატისტებს დამოუკიდებლობას აღუთქვამენ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ხელში ჩაგდებას შესძლებენ.

— მომავალ მთავრობის პრემიერობაზე წერეთელმა უარი სთქვა. პრემიერობას ახლა გენერალ ვერხოვსკის შესთავაზებენ.

— გერმანეთმა ინგლისსა და საფრანგეთს სეპარატიული ზავის წინადადება მისცა. თანხმდება ელზას ლორენის დათმობაზე და ბელგეთის აღდგენაზე მოითხოვს ინგლისის კოლონიების ნაწილს. რუსეთის მოუხსენებლობა რუსეთზე სასურველ გავლენის მოხდენის სურვილით აიხსნება. მოკავშირეებმა წინადადება არ მიიღეს.

— დემოკრატიულ თათბირზე შეეცდებიან ჩხეიძის პლატფორმაზე ბურჟუაზიულ ელემენტებით კოალიციის შედგენას. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობას დემოკრატიული თათბირი შეადგენს, ამასთან კერენსკი მთავრობაში არ შევა. მთავრობას სათაურში წერეთელი მოექცევა. კერენსკი იქნებ მთავარ-სარდლად დარჩეს.

— მოსკოვში კოპერატივთა ყრილობაზე პროკოპოვიჩმა განაცხადა: ზავი მოახლოვდა, მხოლოდ ჩვენთვის მეტად შემრცხვენელი იქნება, მოკავშირეთა კეთილშობილება გვიხსნის. ყრილობა კოალიციის მომხრეა.

# ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

**მილიციის უფროსისგან.** ქუთ. სახალხო მილიციის უფროსი პორ. ი. ძლენტი მცხოვრებთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ თანახმათ დრ. მმართველობის განკარგულებისა მცხოვრებლებმა პასპორტებთან ერთად თან უნდა იქონიონ თავისი სურათი.

— მილიციის უფროსი მცხოვრებთ მოუწოდებს, რომ დაიხსოვნონ იმ მეეტლეთა ნუმერი, რომლებიც დაწესებულ ნიხრზე მეტ ფასს მოითხოვენ.

✦ დაპატიმრება დააპატიმრეს ფოსტის მოხელე გეგუჩაძე, რომელსაც საფოსტო ამანათის გატაცება ბრალდება.

✦ კავკასიის კომისარს, ა. ჩხენკელს, რომელიც ამჟამად პეტროგრადში იმყოფება, დრ. მთავრობის დავალებით პირდაპირის მავთულით მოლაპარაკება გაუმართავს ხარლამოვთან იმ მიზეზების შესახებ, რომელთა მიხედვით ხარლამოვმა, პაპაჯანოვმა და ჯაფაროვმა თანამდებობიდან დათხოვის განცხადება შეიტანეს, რომელი განცხადებაც დაკავშირებული იყო ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით თბილისში დაარსებულ სარევოლუციო კომიტეტთან. დროებით მთავრობას იმედი აქვს კავკასიაში არსებულ კონფლიქტის მოგვარებისა. ე. გეგეჭკორს თბილისის ამბების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად პეტროგრადს იწვევენ.

✦ შეკითხვა. პეტრეს ქალაქიდან ქუთაისის საგუბერნიო სასტატისტიკო ბიუროს სთხოვენ, რაც შეიძლება დაჩქარებით შეატყობინოს სასოფლო სამეურნეო აღწერის შედეგი და ისიც, თუ რომელი მხარე დარჩა აუწერელი და როდისთვის არის განზრახული მათი აღწერა.

✦ შიმშილი. დ. ონში უპურობის გამო უწესოება მოხდა. ადგილობრივი კომისარიატი მოითხოვს, რომ სასწრაფოთ მიაშველონ სიმინდი.

✦ თოვლი. ონის მახლობელ ადგილებში თოვლი მოვიდა.

✦ მატყლი. სასურსათო სამინისტროს მთავარი რწმუნებული ლიხაჩევი ეკითხება გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, თუ რამდენი მატყლი შეიძინა გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა და კიდევ რამდენი მატყლის და შალის შეძენა შეიძლება ქუთაისის გუბერნიაში.

✦ შეშა. გენ.-ლეიტენანტი თარხნიშვილი ქუთ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტს სთხოვს ნებართვას კავკასიის ლაშქრისთვის ქუთაისის გუბერნიიდან 1300 კვადრატულ საჟენ შეშის გასატანად.

✦ 1 ფუთი და 5 გირვანქა ოქრო. ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს ტარასი ხუნდაძეს სახელმწიფოს სესხისთვის ოზურგეთის ყოფილ მაზრის უფროსისთვის წარუდგენია 1 ფუთი და 5 გირვანქა ოქრო, ხოლო დღემდის ამ ოქროს შესახებ არავითარი მოწმობა არ მისვლია, არც სობლიგაციო პროც. ღებულობს. ხუნდაძეს შუამდგომლობა აღუძრავს ყოფილ მეფის ნაცვლის წინაშე, რომ გამოერკვიათ ხსენებულ ოქროს ბედი. ამ ჟამათ თხოვნა განიხილა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა და ქუთაისის გუბერნიის კომისარს მიანდო გამოძიება, თუ სად და ვისგანკარგულებაშია ამჟამად ხუნდაძის მიერ წარდგენილი ოქრო.

✦ **თხოვნის უკან დაბრუნება.** სენაკის მაზრის კომისარი გამსახურდია ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს სთხოვდა რომ მისთვის იარაღთ მიეცაი. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ეს თხოვნა განსახილველათ გამოუგზავნა ქუთაისის გუბერნიის კომისარს.

✦ **დანიშვნა.** სამკურნალო მცენარეულობის შესაკრებათ კავკასიაში და შავი ზღვის ნაპირებში დაინიშნა პეტრე დიდის სახელობის საბოტანიკო ბაღის გამგეობის მიერ ელისაბედ ქიქოძისა და უფროსი ბოტანიკი ვლადიმერ ლიპსკი.

✦ 500 ფუთი შაქარი. საჩხერის სასურსათო კომიტეტი მოითხოვს 500 ფუთ შაქარს საჩხერის რაიონის საჭიროებისთვის

✦ საკლავი საქონელი. გუბერნიის სასურსათო კომიტეტი გუბერნიის კომისარს აუწყებს, რომ ქუთაისის გუბერნიის სოფლებში გაჩნდენ ჩარჩ-ვაჭარ სპეკულიანტები, რომლებიც მცხოვრებთაგან ყიდულობენ საკლავ საქონელს, რის გამო ხელოვნურათ ხორცის ფასი მატულობს. სასურსათო კომიტეტმა აკრძალა კერძო სპეკულიანტების მიერ საკლავ საქონლის შესყიდვა. კომიტეტი სთხოვს გუბერნიის კომისარს, რომ ზომები მიიღოს კერძო ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ, რომ მათ არ აწარმოონ საკლავ საქონლის შესყიდვა.

✦ **რევოლვერები.** ამას წინათ გუბერნიის კომისარმა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს რევოლვერები სთხოვა ქუთაისის სახალხო მილიციისთვის. საგანგებო კომიტეტი კომისარს ატყობინებს, რომ საარტილერიო საწყობმა რევოლვერების მიცემაზე უარი განაცხადა და მილიციის საჭიროებისთვის მიეცემა მხოლოთ ოსმალური ვინტოვკები.

✦ **მწვანილეულობა.** მთავარ-რწმუნებული ლიხაჩევი გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ სასურსათო კომიტეტმა ზომები მიიღოს იმ ჩარჩ—ვაჭრების წინააღმდეგ, რომლებიც ჯარისათვის საჭირო მწვანილეულობას იძენენ და შემდეგ ძვირათ ჰყიდიან სამხედრო უწყებაზე.

✦ პურის მოთხოვნა. ოზურგეთის ქალაქის სასურსათო კომიტეტი მოითხოვს, 2 ვაგონ პურს.

✦ სურსათის გაცვლაზე უარის თქმა. ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნილი ქუთ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელი იუწყება, რომ მას იქ უარი უთხრეს მანუფაქტურის პურის გადაცვლაში.

✦ 250 მან. და 40 კაპ. გადადება. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა 250 მან. 40 კაპ. გადადვა ქუთაისის გუბერნიაში ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილთა სასარგებლოთ.

✦ წამოსული სურსათი. სადგურ პეტრე-კალიდან წამოსულა სურსათი სამტრედიისთვის 1 ვაგონი პური, ტყიბულისთვის 2, ახალსენაკისთვის, და ლანჩხუთისთვის 1, საჯავახოსთვის 1, ამაშისთვის, ხონ-ბაღის ბესლეთისთვის 2, საჩხერესთვის 1, შორაპნისთვის 1. და ტყიბულისთვის 1.

✦ ახალი წიგნაკი. რედაქციამ მიიღო ივ. გომელაურის წიგნაკი „მოწაფის ჰიგიენა“ მთავრიშვილის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიის გამოცემა. წიგნი სუფთათ არის გამოცემული შეიცავს 20 გვერდს და ღირს 20 კაპ.

✦ დავკარგე. ოთხშაბათს 13 ენკენისთვეს თფილისის ქუჩაზე თხოვნით მოცემული მოწმობა დავკარგე რითაც მნახველს ვთხოვთ მიიტანოს ნაგორნი უჩასტკის კომისართან. რისთვისაც მნახველი მიიღებს დიდ მადლობას.

✦ **კურსებზე წასვლა.** ქუთაისის საგუბერნიო საპატიმროს უფროსი **ივანეიშვილი** პეტრეს ქალაქში მოწყობილ სამთვიან კურსებზე, სადაც სწავლობენ ადმინისტრატიულ დასაპატიმროს კანონებს კრიმინალურ დებულებათ და ეცნობიან სახელმწიფურ კანონმდებლობას.

✦ **გულ-შემატკივართა საყურადღებოთ.** ჰომის ქუჩაზე კაკაურიძის სახლში სცხოვრობს ოთხი ობოლი და ძმა, გვარათ სალარიძეები, რომლებსაც არავითარი სახსარი არ გააჩნია საცხოვრებლათ. მათ სასარგებლოთ დღეს საღამო იმართება, წარმოდგენა სამეურნეო სასწავლებლის დარბაზში. მოუწოდებთ ქველმოქმედთ და გულშემატკივართ დაესწრონ ამ საღამოს. ამ ოჯახშივე მიიღება შეწირულებაც.

# ქალაქის საბჭოს სხდომა.

13 ენკენისთვე.

გაგრძელება. (იხ. № 172)

**ქალაქის საბჭოს სხვა და სხვა კომისიების არჩევნები.**

თავმჯდომარე მოხსენებას აკეთებს ხსენებული კომისიების აუცილებლობის შესახებ და თვითეული კომისიის შემადგენლობის თაობაზე.

**ალ. გაფრინდაშვილი** ყურადღებას აქცევს არსებულ მილიციის უვარგისობას და მოითხოვს, რომ შესდგეს სამილიციო კომისიაც მილიციის საქმის სასურველ დონეზე დასაყენებლად.

ეს წინადადება ხმის უმეტესობით გადის. დაადგინეს, ხსენებულ კომისიის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა მიენდოს საორგანიზაციო კომისიას, რომელმაც თავისი შეხედულებანი შემდეგ კრებაზე უნდა წარუდგინოს საბჭოს.

**ეკ. მიქელაძე** თხოულობს კომისიათა ფუნქციების განმარტებას.

თვითეული კომისიის მოვალეობას ცალცალკე ხსნიან.

დასასრულ საბჭოს თავმჯდომარე წინადადებას იძლევა, რომ დაასახელონ კანდიდატები. ს. ფედერალისტთა ფრაქცია თხოულობს, მიეცეს მას დრო, რომ გაითვალისწინოს, თუ რომელი ხმოსანი რომელ კომისიისათვის უფრო შესაფერი და სასარგებლო იქნება. კრებამ ეს წინადადება შეუწყნარებლათ იცნო და დაადგინა, ს. ფედერალისტებისათვის დასტოვოს იმდენი თავისუფალი ადგილი ამა თუ იმ კომისიაში რამდენიც ფედერალისტთა ხმოსნების რიცხვს შეეფერება.

დანარჩენი ფრაქციები აყენებენ თავიანთ კანდიდატებს; სხვა და სხვა კომისიის წევრთა არჩევის შემდეგ, კრება სამოსწავლო საქმეების გარჩევას შეუდგება.

**სამოსწავლო კომიტეტის შესახებ.**

საბჭოს თავმჯდომარე კითხულობს დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების კავშირის შემდეგ მოწერილობას:—

დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირმა 7 სექტემბერს თავის კრებაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება.

ვიმსჯელეთ რა პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიურად მოწყობის შესახებ, კავშირმა დაადგინა, რომ პედაგოგიური საბჭოების შემადგენლობა უნდა გადარჩეულ იქმნეს სამოსწავლო კომიტეტი-

---

დე, თავი მოიხარონ კლუბსის წინაშე, დე ფეხი ულოკონ ტლანქს და ხარბს ბრბოს ბ. ბ. დემაგოგებმა, რომელნიც ბრბოს ტაშის ხმაში პოვებენ უაღრესს ნეტარებას.

მაგრამ ვისაც ღვთიური სიმართლისა და გონიერების კეცხლი შერჩენია სულსა და გულში, უნდა შეირჩინოს მხნეობა, მალი, და ღონე,ჭრათა ამ უმართებულო მიმდინარეობას წინააღუდგეს.

სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში სავსებით დამტკიცდა სოციალისტების აზროვნების გაკოტრება.

ვინც ,,ამხანაგის‘‘ წინაშე ქედს არ იხრის, კარგად იცის და ახსოვს, რომ ამისთანა კატასტროფა სოციალიზმს ჯერ არსად განუცდია.

რუსეთის სოციალისტებმა ამ ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში სრული გაკოტრება უჩვენეს მთელ ქვეყანას.

გვინდოდა დაგვეჯერებია, რომ ტუნდრებსა და კატორგებში გადასახლებულთა შორის აღმოჩნდებოდენ დიდი ნიჭის და ჭკუა-გონების ადამიანები, მაგრამ ვაი, რომ გადასახლებას და ემიგრაციას არც ნიჭი და არც შემოქმედება არ შეუძენია თურმე ჩვენთვის.

გვინდოდა გვერწმუნა, რომ იმათ მარცხენა ჯიბეებში რაღაც გარეშემო ოუ წერელი განძი ეწეოდათ მარცხნისკენ, მარცხნისაკენ. განძი, რომელიც ცენზურის სისასტიკის გამო ვერ გამოეჭქვეყნებიათ, მაგრამ მეტი შენს მტერს ჰქონებია რა, მათ არაფერი სანუკარი არ აღმოაჩნდათ.

სოციალისტური მწერლობა სრულიად უფხო და უნიჭო გამოდგა და პრაქტიკული შედეგები სოციალისტ-მინისტრებისა, მოღვაწეობისა სამწუხარო და შეუფერებელი გამოდგა.

ამხანაგი სკობელევი, ჩერნოვი და პერევერზევი ვერ გამოდგენ გენიოსები, და კერენსკიმ თუ დაიმსახურა ,,ნაზი სიყვარული‘‘ სრულიად რუსეთისა-დაიმსახურა იმიტომ კი არა, რომ სოციალისტია: ბოლშევიკები მას სოციალისტს კი არა, ბურჟუების მინისტრს ეძახიან და ასეთი ლოზუნგიც კი გადმოისროლეს: ძირს ალექსანდრე, სისხლის მსმელიო!

ომის პირველ დღეებშივე გაკოტრებულმა ინტერნაციონალმა ხელახლა შეირცხვინა თავი მტერთან დაძმობილებით და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვნით მთლათ თავლაფი დაისხა.

ნუ გავართულებთ საკითხს საქვეყნო სოციალიზმის შესახებ და რუსულ სოციალიზმს რაც შეეხება, სოციალიზმს, რომელიც ამდენ დარგად დანაწილებულია, ამდენი საზღვრებითა და ჯებირებით შესაზღვრულია, რომელმაც ამდენი კინკლაობითა და კამათშით ყური წაგვაჭამა უნდა დავაბეჯითათ, მას გასაკოტრებელი შედეგები მოჰყვა და მუდამ თან აედევნება.

საჭიროა ახალი ლოზუნგები, ახალი სიტყვები, ახალი იდეები, ახალი აღმაშენებლები, ახალი გეგმები.

ძველი შპარგალკები აღარ გამოდგება.

ახალი სიტყვა და ახალი გზები-ამისათვის ერთად ერთი მეთოდი და საშვალება მართლის თქმა, რათაც უნდა დაუჯდეს მოძღვარს, სიმართლე თავიდან ბოლომდის, სიმართლე, რომელსაც არ უნდა ეშინოდეს არც მეფის და არც სოციალ რევოლუციონრების, არც სოციალ დემოკრატების-მართალი, რომელმაც შიში არ იცის არავისი და არასოდეს.

რამდენად მეტს თავბრუს დამსხმელ სოციალისტებს შექმნის ახლანდელი ჩვენი საზოგადოება, იმდენად მეტს მარცხს მოუტანს იგი სოციალიზმსაც და თავის თავსაც.

**სამსონ ყიფიანი.**

საგან, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ხუთ-ხუთი წევრი ქალაქის თვითმართველობიდან, მშობელთა წრიდან და დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირიდან და 5 წევრიც იმ პედაგოგიურ კორპორაციიდან, რომლის შემადგენლობაც უნდა გადაირჩეს.

მომავალში პედაგოგიური საბჭოები, როგორც დემოკრატიიდან უფლება—ალჭურვილნი, ღებულობენ სრულ ავტონომიას თავის წევრების და ყველა მოსამსახურეების გადასარჩევათ.

კავშირი ხედავს რა უმაღლეს სამოსწავლო სფეროში პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიისა მოპიების წინააღმდეგობას, ადგენს: განახორციელოს ავტონომია ცხოვრებაში ყოველივე საშუალების ხმარებით და, თუ საჭირო იქნება, გაფიცვაც მოახდინოს.

თანახმად ასეთი დადგენილებისა კავშირის გაწგეობა სთხოვს ქალაქის თვითმართველობას აირჩიოს თავის შემადგენლობიდან ხუთი წევრი სამოსწავლო კომიტეტისა და მოახდინოს პედაგოგიურ საბჭოების გადარჩევა ქ. ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში 10 სექტემბერს, რადგანაც 11 სექტემბერს უნდა დაიწყოს მისაღები და ხელ მეორე გამოსაცდელი ეგზამენები. **ნ. ა - ნი.**

(შემდეგი იქნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ფინეთის გარშემო

პეტრეს ქალაქში ფინეთის შესახებ საოცარი ხმები ვრცელდება. ფინეთის გენერალ გუბერნატორის დრ. მმართველობისთვის განუცხადებია: „ფინეთში“ დიდი გამწვავება მისალოდნელი, რადგან ფინელები აპირებენ მიუხედავათ რუსეთის დრ. მმართველობის წინააღმდეგობისა კვლავ მიიწვიონ დათხოვნილი სეიმი“. გენერალ გუბერნატორის თანაშემწეს გარინენკელს უთქვამს: „ფინეთი ასე ადვილათ არ დაწყნარდება. იგი ყველა თავის ეროვნულ მოთხოვნილების განაღდებას სცდილობსო.

### პოლონეთის ბედი.

იმპერატორმა ვილჰელმა ვარშავის გენერალ გუბერნატორს საიდუმლოთ აცნობა, რომ პოლონეთში ისეთი მართვა-გამგეობა დაწესდება, როგორსაც სრულად პოლონეთის ერი მოისურვებს, პოლონეთი იქნება ბუფრსი აღმოსავლეთისკენ. ახლო მომავალში მისი უფლებანი დიდათ გაფართოვდება, ხოლო ომის შემდეგ სუვერენულ სახელმწიფოს მდგომარეობაში იქნებაო. იმპერატორი კარლოსი, როგორც ამას „ეხო პოლსკა„ იუწყება, მოითხოვს, რომ პოლონეთის ნაწილები ერთმანეთს შეუერთდეს და ერთ საგამგებლო ერთეულათ გამოცხადდეს. კარლოსი არაფერს ამბობს იმის შესახებ. თუ ვისი სუვერენობა უნდა გავრცელდეს პოლონეთზე.

### რეიხსტაგი და ბიუჯეტი.

ახლო მომავალში გერმანეთის რეიხსტაგმა უნდა განიხილოს ზამთრის სამხო კომპანიის ბიუჯეტი. გაზეთები ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც გერმანეთის ლაშქარმა რიგა დაიპყრო, გერმანეთში გამარჯვების რწმენა განმტკიცდა. ახლა ყველა გერმანელი განურჩევლათ პოლიტიკურ მსოფლმხედველობისა მოწადინებულია ომს ხელი შეუწყოს. პრესას იმედი აქვს, რომ რეიხსტაგი წინ აღარ აღუდგება სამხო ბიუჯეტს და მას უდავოთ დაამტკიცებს.

### ზავის გარშემო

**“ჟურნალ დეიტალი“** „პაპის სამშვიდობო წინადადება ყოველთვის პოულობდა გამოძახილს. განსაკუთრებულ ყურადღებას მას ცენტრალი კოალიცია აქცევდა, რადგან მას სურს კაცობრიობას დაუმტკიცოს, რომ დიდათ მომხრეა ზავის. ამიტომ არის რომ ისინი, როგორი საზავო ნოტაც არ უნდა იყოს აღფრთოვანებული გამოდიან და ფორმალურათ დიდებით პასუხს იძლევიან. ჯერ კიდევ ბეტმან-ჰოლვეგის დროს გერმანეთი რამდენჯერმე გამოვიდა საზავო ნოტით, მაგრამ რა? თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ გამოსვლა იგი არავითარ რეალ ნაყოფს არ მოიტანდა. ასევე ჩაივლის ამ ბოლო დროის საზავო კომპანიაც.“

**„ლეჟურნალი“** სწერს:“ ზავი გვსურს, მაგრამ არა გერმანეთის მიერ ნაკარნახევი. ჩვენ უნდა აღვადგინოთ 1914წ. ევროპის რუქა და ზავი თვითონ უნდა უკარნახოთ წელში გატეხილ გერმანეთს, რომ მან ვერ გაბედოს ვერც ერთ ანექსიაზე და კონტრიბუციაზე ლაპარაკი“.

**გაზ„ ტაიმისი“ სწერს:** რაც არ უნდა სთქვას გერმანეთმა, ჩვენ მაინც მას სიგულწრფელეთ ვერ მივიღებთ. სანამ ის დაძლეულ არ იქნება, ლაპარაკი უბრალო წლის ნაყვათ მიგვაჩნია.“

მთელი რუსული პრესა უარყოფით მიეგება საზავო კომპანიას. გაზ. **„დენი“** სწერს: „პაპის გამოსვლას ყოველთვის ბერლინის ტენდენციები ახასიათებდა. ასე ახლაც. ცენტრალ სახელმწიფოებს სურთ, დროვმოიგონ, რუსეთის კრიტიკულ მდგომარეობით ისარგებლონ და რუსეთისთვის დამამცირებელი ზავი ჩამოაგდონ. რუსეთი არას შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს ამჟამათ ზავს. ასეთი ზავი მოკლე ხანში ისევ ახალ ომს გამოიწვევდაო.

### იაპონის შესახებ.

ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებში იაპონიის მზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ფრანგები იაპონიელებს უნდობლათ უყურებენ, ასეთივე აზრის არიან ამერიკელები. ხოლო ლონდონში ირწმუნებიან, რომ თუ ვინიცობაა რუსეთმა აქტიური მოქმედება შეაჩერა, მაშინ მას მაგიერობას იაპონია შეასრულებსო.

### დემოკრატიული თათბირის შესახებ.

გაზ „დენი“ სწერს: „მოდიან დემოკრატიულ თათბირზე. დიდი იმედი იმართება წინ... მაგრამ, ეს „მაგრამ“ სულ უკან გვდევს... წინასწარი ნიშნები ისეთია, რომ იქ მეუმრავლესენი გაიმარჯვებენ და მთელი რუსეთი „ბოლშევიზმის“ წამოსასხამში მოექცევა“.

### ოლხოკრატია თუ დემოკრატია.

გ. პლეხანოვი მეუმრავლესეთა მმართველობას ოლხოკრატიის (ბრბოს) გამგებლობას უწოდებს, რომელშიც დემოკრატიული არაფერი არ არის.

### ფინანსიური კრიზისი.

„ბირჟ. ვედ.—ს აზრით ფინანსიური კრიზისი მოკლე ხანში ისე გამძვინვარდება, რომ სახელმწიფოს არავითარი გამოსვლა საიმედო გზა აღარ ექნება. ფინანსთა მინისტრს გადაწყვეტილი აქვს დემოკრატიულ თათბირზე წარადგინოს ფინანსების მდგომარეობა.

### სამოსწავლო ქრონიკა.

რუსეთის დედაქალაქების საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებს, რომ წელს მეტის მეტი კრიზისის გამო სწავლა ყველა სასწავლებელში შესწყდეს და მოსწავლე ახალ გმზდობის შრომა გამოყენებულ იქმნას სასოფლო სამეურნეო მუშაობისთვის. განათლების სამინისტროში აგრეთვე კითხვა აღიძრა, რომ წელს გიმნაზიის დასამთავრებელი გამოცდები იანვარში მოხდეს.

## საქართველოს საეკლესიო კრება.

### 14 სექტემბრის საღამოს სხდომა.

კრებას თავმჯდომარეობს **გიორგი დ. ჟურული.** მდივანი ი. ცინცაძე კითხულობს წინა კრების ოქმს, რომელსაც კრება ამტკიცებს. შემდეგ განცხადება შემოაქვთ გურიის დელეგატებს. დელეგაცია მოითხოვს, რომ გურიის ეპარქია, რომელიც ამდენხანს შეერთებული იყო სამეგრელოსთან ცალკე გამოიყოს და დაენიშნოს თავისი ეპისკოპოსი, რომელ'აც ბინა ექნება ბათომში. მოხსენებას იცავს **დეკ. ნ. თალაკვაძე.** წარსულში გურია ცალკე ეპარქია იყო და თავისი ეპისკოპოსი ყავდა, დღევანდელ გურიის სურვილს შეადგენს, რომ ძველი უფლება ისევ დაუბრუნდეს. ტყუილია იმის შიში, რომ ქართველი მაჰმადიანობა ამ ნაბიჯს აგრესიულად ჩასთვლის, ამის მიზეზი ჩვენ არ მიგვიცია და არც აწი მივსცემთ. მიტროპოლიტი ლეონიდეც დაამტკიცებს, რომ ბათომის მაჰმადიანობა მის მეუფებას პატივისცემით და ნდობით ეპყრობოდა. ქართველმა მაჰმადიანებმა იციან, რომ გურიას უწინ ყავდა თავის ეპისკოპოსი, ბათომი შავი ზღვის თვალია და იქ აუცილებელია მწყემსმთავარის თვალიც დარაჯობდეს.

**მიხეილ ვ. მაჩაბელი** აღნიშნავს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა დამოკიდებულებას და შიშობს, რომ იმ კეთილ საქმეს, რომელსაც საძირკველი აქვს ჩაყრილი რაიმე საფრთხე არ გამოუჩნდეს. როცა მაჰმადიან ქართველებზე მიდგება საქმე უნდა ფრთხილად ვიყოთ, რომ სადემაგოგიო მასალა არ მივცეთ ჩვენ მტრებს აჭარაში, რომელთაც არ სძინავთ და ყველაფერს გამოიყენებენ, რომ როგორმე ჩვენი და მაჰმადიან მოძმეთა კავშირი შეარყიონ.

**ყ. ს. ეპისკოპოსი კირიონი** მოითხოვს გურიის მოთხოვნა უსათუოდ დაკმაყოფილებული იქმნას, რადგან ის სამართლიანია და საჭირო და შეუძლებელია გურიის კათედრა ხელმიწერილი იყოს სხვა კათედრასთან.

**ყ. ს. მიტროპოლიტი ლეონ დე** მხარს უჭერს გურიის დელეგატების განცხადებას და თავის გამოცდილებით ამტკიცებს, რომ ამ საქმეს არაფერი ზიანი არ შეუძლია მიაყენოს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა განწყობილებას. გურულები როგორც კულტურულად, ისე რელიგიურად სხვა პროვინციებზე წინ სდგანან და ღირსნი არიან თავის ეპარქიისო.

**ყ. ს. ეპისკოპოსი ანტონიც** უერთდება სხვებს და მოითხოვს ბათომში უთუოდ იყოს ქართველი ეპისკოპოსი, რომ არ განმეორდეს თბილისის ამბები, სადაც რუსეთის სინოდმა მეორე მიტროპოლიტი დანიშნა. შეიძლება ბათომიც ამ დღეში ჩავარდეს.

ამ საკითხის შესახებ კამათმა დიდხანს გასტანა. ერთი რიგი ორატორები მოითხოვდენ კრებას ეხლავე დაეკმაყოფილებინა ეს განცხადება, მეორენი, რომ ეს საკითხი საკათალიკოსო საბჭოს გადასცემოდა გადასაწყვეტად.

პ. **ბარათაშვილი** წინადადებას იძლევა ამ საკითხზე კამათი მოისპოს და გადაეცეს გადასარჩევად კომისიას. კრება იწყნარებს ბარათაშვილის წინადადებას.

შემდეგ კრებას მოხსენდება **ნ. ნ. დურნოვოს** დეპეშა-წერილი, რომელიც მგრძნობიარედ არის დაწერილი, და აღნიშნავს საქართველოს უფლებებს პოლიტიკურ თავისუფლებაზე. საქართველოს საკითხი ისე უნდა გადაწყდეს როგორც პოლონეთის გადაწყდაო, (ეს წერილი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება) ამის შესახებ გ. ჟურული ამბობს სიტყვას, კრება პატივისცემის ნიშნად ფეხზე აdგება.

შემდეგ დიდი კამათი გამოიწვია **ეპისკოპოსის** ცოლიანობისა თუ უცოლობის საკითხმა. აქ კითხვას აყენებდენ უმთავრესად არა მის (ეპისკოპოსის) როლზე, როგორც ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ხელმძღვანელზე, არამედ როგორც ადმინისტრატიულს გამგეზე, რომლის ბერობა არც ისე სავალდებულოა. ორატორნი, მეტნაწილად ერის კაცებიდან, საკითხს აფართოებდნენ, პრაქტიკულს თვალსაზრისიდან გამოდიოდნენ და ცოლიანობას საჭიროდ სცნობდნენ, მაშინ როდესაც სამღვდელოება, განსაკუთრებით ბერ-მონოზნობა პროტესტს აცხადებდა. გაცხარებულმა კამათმა იქნობამდის მიიყვანა, რომ კრება რამდენიმე წუთით შესწყდა.

კრების განახლებისას არა თქმულა-რა. ხმა აღიმაღლა ბოლოს კათალიკოსის მოსაყდრემ თბილელმა მიტროპოლიტმა ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ, რომელმაც მხურვალე მოწოდებით მოიწადინა დამსწრეთა შეგნება, რომ ასეთი ნაბიჯი ერებს შეჰქმნის, დავაფრთხობთ იმათაც, ვისაც ჩვენსკენ თვალი მოუპყრიათ, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიისკენ, სწრაფლვე ჩამოგვშორდებიან. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ეკლესია აღმოსავლეთურია, მთელი აღმოსავლეთიც შეგვაჩვენებს, ჩვენ ვერ დავიბრუნებთ ჩვენის ეკლესიის ქონებას, როგორც სულ უცხო რამ, განცდილი ორტოდოქსალურ ეკლესიისა! მიღება ასეთის დებულებისა ახალი სექტის შექმნაა, რომელსაც პირველი მე გამოვუცხადებ სასტიკ ბრძოლას და არც დავექვემდებარებიო!

მის მხურვალე პროტესტს მოჰყვა მიღებულ წესის დარღვევა-აღელვებულ საზოგადოების ტაში. მიუხედავად ამისა პროტესტანტებმა არ შ ესწყვიტეს ხმაურობა და კრების გაგრძელებაც შეუძლებელი გახდა. მაშინ მათი მეუფება მიტროპოლიტი ლეონიდე, ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ანტონი და მათთან ერთად მთელი ბერმონაზონობა გავიდა კრებიდან. მღელვარე საზოგადოება კარგახანს არ დაშლილა. უნდოდათ თვითონ პრეზიდიუმის აზრი გაეგოთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პრეზიდიუმს ამ საკითხის გარკვევაში გარდაწყვეტილი არა გამოეტანა რა და ისევ კრებისთვის დაეტოვებინათ გადასაჭრელად, რის გამოც კრება უკმაყოფილოდ დაიშალა.

საკითხის განხილვა მეორე დღისათვის გადასდეს.

## ქუთაისის

### პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოთ.

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის დადგენილებით კავშირის ყოველ განყოფილებასთან უნდა დაარსდეს საამხანაგო სასამართლო, რომელსაც უფლება ეძლევა, როგორც საქმის გამოძიების, აგრეთვე მსჯავრის დადებისა; სასამართლო უნდა იქნეს ინტერპარტიული. აგრეთვე ქალების სკოლების მასწავლებლებმა უნდა აირჩიონ 6 დელეგატი ქალაქის სასკოლო საბჭოში მონაწილეობის მისაღებათ, ამას გარდა განსახილველია სხვა საკითხებიც. ამიტომ ვთხოვ ამხანაგებს, ორშაბათს, 18 ამ თვის, ძველი დროით საღამოს **ხუთ საათზე** დაესწრონ განყოფილების საზოგადო კრებას ქალაქის ორკლასიან ქალთა სასწავლებელში, რომელიც იმყოფება გოგებაშვილის ქუჩაზე (ყოფილი ღენერლის ქუჩა).

სახალხო მასწავლებელთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე **ვლ. ქრ. ნაცვლიშვილი.**

## ქართველთა და მაჰმადიანთა ურთიერთობა.

მიმდინარე წლის აგვისტოს 29, სამშაბათი, ისტორიულ დღედ ჩაითვლება. ამ დღეს, მაღალი კავკასიონის ქედის ძირში, ძაწიმის მინდორზე (ლაგოდეხის გადაღმაა) გაიმართა შეერთებული კრება სიღნაღის მაზრის, ზაქათალის ოლქის, დაღესტანის კუთხის მცხოვრებლების წარმომადგენლებისა. ყრილობის მიზანი იყო ქართველების და ლეკების შორის ძმობა-ერთობის და კეთილ მეზობლურ განწყობილების განმტკიცება, ჩვენი და მათი მჭიდრო შეკავშირება და საერთო პლატფორმის შემუშავება, : რომელნიც ჩვენ და მეზობელ ლეკებს ბედნიერებისაკენ, კეთილდღეობისაკენ და აყვავებისაკენ წაგვიყვანს.

სიღნაღის მაზრის წარმომადგენლები დანიშნულ ალაგას, სადაც ზაქათალის და დაღესტანის კუთხის წარმომადგენლები იყვნენ შეგროვილნი, საღამოს ოთხ საათზე მოვიდნენ თავიანთ დროშებით. მოახლოებისას მეზობლები სიღნაღის მაზ. წარ. დროშებით და ზურნის კვრით მიეგებნენ. წარმომადგენლებმა ერთმანეთს მხურვალე სიტყვებით მიმართეს, სადაც გაატარეს აზრი, ძმობა, ერთობის და კეთილ მეზობლობის განმტკიცებისა. ამ დროს ლეკებმა ორი ცხვარი ჩააყენეს შუაში და მსხვერპლად შესწირეს ამ ისტორიულ დღეს.

მისალმების დასასრულს ქართველებმა გადასცეს დროშები ჩვენს მეზობლებს რომლებსაც ჰქონდათ წარწერანი, პირველს „დაუვიწყარ სახსოვრად სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებიდან ზაქათალის და დაღესტანის კუთხის მცხოვრებლებს“, მეორეზე იყო : ამოხატული სურათი ქართველ და ლეკისა და ჰქონდა წარწერა „გაუმარჯოს ძმურკავშირს“ თითქმის ესეთივე წარწერანი ჰქონდა ლეკების დროშებს, რომლებიც გადასცეს ქართველებს.

ლეკებმა ქართველი დელეგატები მიიწვიეს ნადიმზე და მერმედ გამართეს ლეკური. პირველ ყრილობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ეფენდიევმა გახსნა კრება და ყრილობას მცირე განმარტების შემდეგ მოუწოდა აერჩია ახალი პრეზიდიუმი. ყრილობამ ისევ ძველი პრეზიდიუმის შემადგენლობა დაამტკიცა.

ეფენდიევმა კრებას წაუკითხა დეპეშა, რომელიც წარსულ 15 მარიამობისთვის კრებიდან ჰქონდა დავალებული გასაგზავნად ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში და მუშათა და სალდათთა საბჭოებში.

ოთხშაბათს, 8 საათზე წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს. ერთმანეთში პატარა მუსაიფის შემდეგ კრება გაიხსნა ისევ ეფენდიევის თავმჯდომარეობით. (აღსანიშნავია, რომ კრებების დროს სეუცხოვო წესრიგი და სიწყნარე სუფევდა). კრების გახსნისას ტიბაანის და სხვა საზოგადოებების წარმომადგენლმა ათ—მა მხურვალე სიტყვით მიმართა და მოუწოდა ყრილობას საერთო გზით მსვლელობა საერთო ბედნიერებისათვის, მით უმეტეს დღეს, როდესაც რუსეთის შინაური ცხოვრება აწეწილ-დაწეწილიაო. (ყოველი ორატორის სიტყვა ოთხ ენაზე ითარგმნებოდა: ქართულად, რუსულად, ლეკურად და თათრულად). შემდეგ კრებამ განიხილა წარსულ ყრილობის რეზოლუციები და ერთხმად მიიღო.

1) ძმობა-ერთობის და კეთილ-მეზობლობის განმტკიცება.

2) ბრძოლა კონტრ-რევოლუციონერების წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენს ძალთა გათიშვას.

3) იქმნეს მიღებული უსასტიკესი ზომები ყრილობის [illegible] ყაჩაღობის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს ჩვენს შორის სოლიდარობას და მყუდროებას.

კრებას მოხსენდა წინასწარი თათბირის აზრი კომისიის, სამოსამართლო კამერების შესახებ. მომხსენებელი კომისიის შესახებ ამბობს: კომისიაში შევა ათი კაცი ამნაირ პროპორციით: სიღნაღის მხრიდან 4 კაცი, ზაქათალის ოლქიდან 4 კ. და დაღესტნის კუთხიდან 2 კაცი. ბინა ამ კომისიისა იქნება ლაგოდეხი. კომისიის შემადგენლობას ეყოლება სამი თავმჯდომარე, რომელთაც თვიურ ჯილდოთ ექნება თვითეულს 350 მან. დანარჩენი კომისიის წევრნი შეიკრიფებიან თვეში ორჯელ დიდი საკითხების გასაშუქებლად და თვითეულს მათგანს ექნება დღეში ერთი თუმანი. გარდა ამისა ეყოლებათ ორი მდივანი. თითოს მიეცემა თვეში—200 მან. და შესდგება შტატი მილიციისა. აღნიშნულ ხარჯების შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ უთუოდ ხაზინიდან იქნება გასტუმრებულიო. კრებამ წინადადება მუხლობრივ განიხილა და დაამტკიცა, როგორც იქნა წამოყენებული. ამით ქართველ-ლეკების დიდი ყრილობა დამთავრდა. უხვმა მასპინძლებმა ლეკებმა დელეგატები სადილზე მიიწვიეს. ამწვანებულ მაწიმის მინდორზე უხვად იყო გაშლილი ცხვრის ხორცი და პური, გაისმოდა ძმური მუსაიფი ქართველ-ლეკებისა და ტკბილი დუდუკის ხმა ამ მაღალ კავკასიონის ქედების ძირში. (საქართვ.)

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.


სტამბა “ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში